ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტსა და

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტს შორის

დაბა ხიჭაური

11 დეკემბერი, 2023 წელი

პრეამბულა

ერთი მხრივ, ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი“ წარმოდგენილი რექტორის, სხალთის მთავარეპისკოპოსის სპირიდონის მიერ და მეორე მხრივ სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი, წარმოდგენილი რექტორის, თეიმურაზ კეჟერაძის მიერ (შემდგომში -„მხარეები“), ეყრდნობიან რა თანამშრომლობისა და ურთიერთპატივისცემის პრინციპებს, გამოხატავენ პროფესიული კადრების ზრდის ხელშეწყობის, მათი კვალიფიკაციის ამაღლების, თანამშრომლობის ეფექტური მექანიზმების შექმნის სურვილს, საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის ამაღლების, გამოცდილების გაზიარებისა და ერთობლივი პროექტების შემუშავებისა და განხორციელების მიზნით, თანხმდებიან თანამშრომლობაზე.

ურთიერთთანამშრომლობა ხელს შეუწყობს:

- შემოქმედებითი მუშაობისა და აკადემიური განათლებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ეფექტურად გამოყენებას;
- გამოცდილების გაზიარებასა და პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას;
- ერთობლივი პროექტების მომზადებასა და განხორციელებას;
- ცალკეული მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამების მომზადებაში თანამშრომლობასა და კონსულტაციების გაწევას.

მუხლი 1

1.1. სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი და ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი უზრუნველყოფენ „ხელოვნების ისტორიისა და თეორიის (ხელოვნებათმცოდნეობა)“ საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტების სასწავლო მიზნებით გათვალისწინებული აქტივობების მხარდაჭერას და განხორციელებას, მათ შორის პრაქტიკული სწავლების ხელშეწყობას.

1.2. მხარეები აწარმოებენ შეთანხმებულ პოლიტიკას ერთობლივი პროექტების მომზადების, განხორციელებისა და აუცილებელი რესურსების მოზიდვის მიზნით.

1.3. მხარეები წინასწარი შეთანხმების საფუძველზე გამოიყენებენ ერთმანეთის მატერიალურ-ტექნიკურ, საბიბლიოთეკო და ინტელექტუალურ რესურსს მემორანდუმის მიზნების მისაღწევად.

1.4. მხარეები თანხმდებიან, რომ როგორც სტუდენტები, ასევე აკადემიური პერსონალი ერთობლივად განახორციელებენ და მონაწილეობას მიიღებენ მათ მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო (ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციები, სემინარები, გამოფენები, სიმპოზიუმები, ტრენინგები, საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები და სხვა) ღონისძიებებში.

1.5. მხარეები უფლებამოსილი არიან ერთობლივად განახორციელონ კულტურულ-შემოქმედებითი ღონისძიებები ან ჩაერთონ და მონაწილეობა მიიღონ თითოეული მხარის მიერ ორგანიზებულ კულტურულ-სახელოვნებო ღონისძიებაში.

1.6. მხარეები ურთიერთშეთანხმებით მონაწილეობას მიიღებენ საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესში (ინფორმაციის გაცვლა, მეთოდური დახმარება და სხვა.) აკადემიური პროგრამების პრაქტიკასთან დაახლოებისა და კომპეტენციების ჩამოყალიბების მიზნით.

1.7. თითოეული მხარე უზრუნველყოფს პერსონალის გამოცდილების ურთიერთგაზიარებას მათი კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით.

1.8. მემორანდუმით გათვალისწინებულ ღონისძიებებთან დაკავშირებული საკითხები უნდა განისაზღვროს ცალკეული შეთანხმებებით.

მუხლი 2

2.1. წინამდებარე მემორანდუმში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

2.2. მხარეთა შორის ურთიერთობათა სპეციფიკა, რომელიც არაა განსაზღვრული მემორანდუმში, რეგულირდება ორმხრივი შეთანხმებით.

2.3. მხარეები აძლევენ ერთმანეთს გარანტიას, რომ ისინი კეთილსინდისიერად შეასრულებენ წინამდებარე მემორანდუმით გათვალისწინებულ პირობებს.

მუხლი 3

3.1. წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება კონსულტაციებისა და მოლაპარაკებების გზით.

3.2. მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ რაიმე სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე.

3.3 მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთა თითო პირი გადაეცემა მხარეებს.

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის
რექტორი სხალთის მთავარეპისკოპოსი

სპირიდონი

მის.: შუახევის მუნიციპალიტეტი, 6309,
ს. ტაკიძეები (ხიჭაური),
საიდენტიფიკაციო კოდი: 247865289
ტელ.: 599 57 32 87
ელ.ფოსტა: tbelabuserisdze@gmail.com
ვებ.გვ. tbeli.ge

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
რექტორი, პროფესორი

თ. კეჟერაძე

მის.: ბათუმი, 6000, ზ.გოგიბერაძის/ ვაჟა-ფშაველას №19/32
საიდენტიფიკაციო კოდი: 245628496
ტელ.: +995 551 21 75 77
ელ.ფოსტა: info@batu.edu.ge
ვებ.გვ. batu.edu.ge